ხაშურის მოამბე

№7 (258) 25 თებერვალი, სამშაბათი, 2020 წელი

ვალერი გელაშვილი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა

ვალერი გელაშვილი ქართული ოცნების კვოტით საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. დადგენილების პროექტს პარლამენტმა უყარა კენჭი და 82 ხმით არცერთის წინააღმდეგ მიიღეს.

მან ამ თანამდებობაზე კარლო კოპალიანი შეცვალა, რომელიც ახლა ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერია. საქართველოს კანონმდებლობით, მას უნივერსიტეტში თანამდებობის დაკავების შემდეგ აღარ შეეძლო დეპუტატად დარჩენა.

ჩვენს მკითხველთან ერთად, ვულოცავთ ბატონ ვალერის და იმედი გვაქვს, მისი სახით, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, ხაშურის მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი მძლავრი ლობი ეყოლება პარლამენტში.

სურამში, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები ხორციელდება

19 თებერვალს ადგილზე იმყოფებოდნენ და პროექტის მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი, ეკონომიკის სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი გიორგი პაპიაშვილი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს გზის მოსწორების და წყალამრიდების მოწყობის სამუშაოები.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება როგორც ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობები, ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურა.

სამუშაოების მთლიანი ღირებულება 491811 ლარს შეადგენს და სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

დავით ჩიქოვანი: პანიკის საფუძველი არ არსებობს, სიტუაცია სრულიად ექვემდებარება კონტროლს...

დღეს, მთელ მსოფლიოში, ერთ-ერთი აქტუალური თემა კორონავირუსია, რომლის ეპიცენტრი ჩინეთში, კონკრეტულად კი ქალაქ უხანშია. სამწუხაროდ, ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაციები გარდაცვლილთა რიცხვის მატებასთან დაკავშირებით და ბოლო მონაცემებით, მათი რაოდენობა სამიათასამდეა. დაინფიცირებულთა რაოდენობა, კი 30 000-ს გასცდა. თუმცა, დამაიმედებელი მონაცემებიც არსებობს. თუნდაც ის ფაქტი, რომ რამდენიმე ათასი პაციენტი გამოჯანმრთელდა, ბევრის მთქმელია.

ჩვენს მუნიციპალიტეტში, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჩინელი მოქალაქეების რაოდენობა არცთუ მცირეა. ისინი ქვიშხეთი-ზვარის სარკინიგზო გვირაბის და რიკოთის უღელტეხილზე, ავტობანის მშენებლობაზე არიან დასაქმებულები. ამიტომაც ჯანდაცვის სამინისტრო თუ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მუდმივ მონიტორინგს ახორციელებს ხაშურში და ნებისმიერი უცხო ქვეყნის მოქალაქის ვიზიტი შესაბამისად კონტროლდება. 19 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა მცირე პანიკა გამოიწვია მოსახლეობაში, ამიტომაც, "ხაშურის მოამბე" მკითხველს დეტალურ ინფორმაციას აწვდის აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

დავით ჩიქოვანი - ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი: 19 თებერვალს, ღამით, 112-ში შევიდა შეტყობინება, რომ სამხრეთ კორეის მოქალაქე შეუძლოდ იყო. სხვათა შორის, მცდარია მედიის ზოგიერთი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია, რომ აღნიშნული მოქალაქე ჩინელია. სასწრაფო სამედიცინო მომსახურებამ პაციენტი ხაშურის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მოხდა ექიმთა სრული მობილიზება. ადგილზე იმყოფებოდა ჩვენი ცენტრის ეპიდემიოლოგი მარინა ბერიძეც. დადასტურდა ფილტვების ანთება, თუმცა პაციენტს მაღალი ტემპერატურა არ აღენიშნებოდა. შეტყობინება გადაიგზავნა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში. უმოკლეს დროში, შესაბამისად აღჭურვილი რეანიმობილით, რეფერალური ბრიგადის თანხლებით, პაციენტი გადაიგზავნა თბილისში. როგორც დადგინდა, პაციენტი, ორიოდე დღის წინ, სტამბოლის გავლით, ჩამოფრინდა სეულიდან. ერთადერთი შეხება ჩინეთის მოქალაქეებთან მას ჰქონდა სტამბული-თბილისის რეისის დროს, სადაც სულ სამი ჩინელი მოქალაქეც იმყოფებოდა. ჩვენ მუდმივი კავშირი გვაქვს იმ კლინიკასთან, სადაც კორეელი მოქალაქე გადის მკურნალობის კურსს და შემიძლია დადასტურებულად გითხრათ, რომ 99% საქმე კორონავირუსთან არ გვაქვს. თუმცა, მაინც ვუცდით ოფიციალურ დასკვნას ლუგარის ლაბორატორიიდან, რომელიც რამდენიმე საათში იქნება ცნობილი. სხვათაშორის დღეს, ჩინეთიდან 23 მოქალაქეს ველით. მათთვის, ოსიაურში, მოწყობილია სპეციალური იზოლატორი. გაერთიანდა ოთხი კემპი და შესაბამისად აღიჭურვა. ეს მოქალაქეები 14 დღის განმავლობაში იქნებიან კარანტინში და მათზე სპეციალისტები მუდმივ მონიტორინგს დააწესებენ. ასე, რომ პანიკის საფუძველი აბსოლუტურად არ არსებობს და სიტუაცია სრულიად ექვემდებარება კონტროლს...

P.S. გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო, როდესაც ბატონმა დავითმა გვაცნობა, რომ ლუგარის ლაბორატორიის დასკვნით, კორონა-ვირუსი გამოირიცხა და პაციენტს მხოლოდ რესპირატორული ინფექცია დაუდგინდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება # 12

2020 წლის 18 თებერვალი, ხაშური

„საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის □654 დადგენილების საფუძველზე, 2020 წელს, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში განსახორციელებელი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოციალურ ეკონომიკური პროექტების ნუსხის დამტკიცების და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში/სოფლებში კონსულტაციების და ჩატარებული საერთო კრებების ორგანიზებით გამოიკვეთა პრიორიტეტები, რომელთა საფუძველზეც საჭიროა დამტკიცდეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალურ-ეკონომიკური პროექტების ნუსხა.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების I მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულების საფუძველზე ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგულებით ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი სახსრებით დანართი №1-ით განსაზღვრულ დასახლებებში/სოფლებში ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი საერთო კრებების ოქმების საფუძველზე შედგენილი სოფლის სოციალურ-ეკონომიკური (ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა/რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვა) პროექტების ნუსხა და პროგრამის განხორციელებისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა განაწილდეს დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის).

2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს ყველა სათანადო ღონისძიების განხორციელება.

3. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2020 წელი

N	ტერიტორიული ერთეული	დასახლების სახელწოდება	საპროექტო წინადადება	გადაწყვეტილების მიღების ფორმა	პროექტის საორიენტაციო ზღვრული ღირებულება, ლარი	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	პროექტის სული ღირებულება	შენიშვნა
1	ალი	ალი	2 მოსაცდელის მოწყობა	კონსულტაცია	15 000,00			
2			გარე განათების მოწყობა		5 000,00			
3		ბრილი	ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
4		ახალუბანი	ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
5		დუმაცხოვი	ყოფილ სარიტუალო დარბაზში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
6		ზემო აძვისი	ყოფილ სარიტუალო დარბაზში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
7		კლდისწყარო	მდინარე ტილიანაზე ხიდის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
8		ცხეთიჯვარი	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
9		უწლევი	ბეტონის საფარის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
10		ნაბახტევი	სანიაღვრე არხის მოწყობა	კონსულტაცია	16 000,00			
11		ქინძათი	სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
ჯამი:					120 000,00			
12	გომი	გომი	სკვერის მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
13		ხიდის ყური	სპორტული დარბაზის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
14		ვაყა	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
15		ქვემო აძვისი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
16		დიდი სატივე	სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
17		პატარა სატივე	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
18		აგარები	სკოლის ეზოში ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
ჯამი:					92 000,00			
19	ოსიაური	ზემო ოსიაური	საფეხბურთო მოედნის მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
20		ქვემო ოსიაური	საფეხბურთო მოედნის მოწყობა	კონსულტაცია	16 000,00			
21		ახალსოფელი	წყაროსთან მისასვლელი კიბის და წყაროს მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
ჯამი:					46 000,00			
22	დაბა სურამი	დიდი ბეკამი	მინი სტადიონის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
23		პატარა ბეკამი	სკვერის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
24		ურთხვა	სკვერის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
25		ზეკოტა	2 მოსაცდელის მშენებლობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
26		ბიჯნისი	წყაროების რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
27		დაბა სურამი	მოსაცდელების მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
ჯამი:					74 000,00			

28	ფლევი	დიდი ფლევი	ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
29		პატარა ფლევი	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
30		ნაცარგორა	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
31		ტკოცა	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	16 000,00			
			ჯამი:		50 000,00			
32	ქვიშხეთი	ქვიშხეთი	სანიაღვრე არხის მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
33		ტაშისკარი	სკვერის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
34		მონასტერი	სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
35		ბეღლეთი	ბეტონისგზის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
36		ბულბულისციხე	სასაფლაოს გზის მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	8 000,00			
37			გარე განათების მოწყობა		2 000,00			
38		სათივე	წყაროს კეთილმოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
39		სარმანიშვილისკარი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
40		ტეზერი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	კონსულტაცია	16 000,00			
41		ყიფიაანთუბანი	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
42		სავანისუბანი	სკვერის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
43		რუსაანთუბანი	გარე განათების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
			ჯამი:		132 000,00			
44	ცხრამუხა	ცხრამუხა	დიოდური გარე განათების ფარების მოწყობა	კონსულტაცია	20 000,00			
45		თაგვეთი	ცენტრალურ ქუჩებზე წყლის მილების შეცვლა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
46		რბონა	დახურული სანიაღვრე სისტემის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	5 000,00			
47			გზების მოხრეშვა		5 000,00			
			ჯამი:		40 000,00			
48	ცოცხნარა	ქემფერი	შიდასასოფლო გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
49		ცოცხნარა	არსებული წყლის სისტემის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
50		წაბლოვანა	არსებული სარიტუალო დარბაზის სპორტულ დარბაზათ მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
51		ცედანი	შიდასასოფლო გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
52		ოძისი	არსებული წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
53		ცივწყარო	შიდასასოფლო გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
			ჯამი:		64 000,00			
54	წაღვლი	წაღვლი	სოფლის ერთ ქუცაზე ბეტონის საფარის მოწყობა	კონსულტაცია	16 000,00			
55		კლდისწყარო	სკვერის მოწყობის სამუშაოების დასრულება	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
56		ქვემო ბროლოსანი	შიდა გზის მოწესრიგება ასფალტის საფარით	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
57		ზემო ბროლოსანი	შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
58		ჩორჩანა	ატრაქციონების მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
59		წედვერი	არსებული წყაროს სისტემის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
60		ტიტვინისწყარო	მისასვლელი გზის მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
			ჯამი:		76 000,00			
61	წრომი	წრომი	მინისტადიონის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
62		ახალშენი	დახურული სანიაღვრე ქსელის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
63		ნადარბაზევი	სოფლის შიდა გზების მოხრეშვა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
64		იმერლიანთკარი	სასმელი წყლის რეზერვუარის და ქსელის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	5 000,00			
65			მიწისქვეშა სანიაღვრის მოწყობა		5 000,00			
66		დიდი ყელეთი	სოფლის მისასვლელ გზის რთულ მონაკვეთზე ბეტონის გზის დაგება	საერთო კრების სხდომა	20 000,00			აღნიშნულმა სოფლებმა მოახდინეს თანხების გაერთიანება
67		პატარა ყელეთი						
			ჯამი:		62 000,00			
68	ხციისი	ხციისი	სკვერის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	16 000,00			
69		მიწობი	სასმელი წყლის მაგისტრალის შეცვლა ახლით	საერთო კრების სხდომა	12 000,00			
70		კრისხევი	წყლის სისტემის მოწყობა დამატება	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
			ჯამი:		38 000,00			
71	ხალები	დიდი ხალები	ხაშური დიდი ხალების დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
72		პატარა ხალები	ხაშური პატარა ხალების დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
73		ღართა	საერთო წისქვილის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			თანხების გაერთიანება
74		სარტყელა	საერთო წისქვილის მოწყობა	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
75		ღვრიაწყალი	ხაშური ღვრიაწყლის დამაკავშირებელი გზაზე არსებული სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	საერთო კრების სხდომა	10 000,00			
			ჯამი:		50 000,00			
			სულ ჯამი:		844 000,00			

ქირურგი, რომელიც მთელი ქალაქის იმედია

იბადებიან ადამიანები, რომლებიც თავისი არსებობით დიდ წვლილს ტოვებენ სამყაროში, ადაიანები, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობაც სხვა ადამიანების მსახურება და უანგარო სიკეთის კეთებაა. ასეთები ახსოვთ და მადლობლები არიან. ჩვენი ქალაქი კარგად იცნობს ისეთ ადამიანებს, რომლებიც აქ არ დაბადებულან, მაგრამ თავისი ცხოვრებით ჩვენი ქალაქის ისტორიის ნაწილი გახდნენ, ასეთი მაგალითები ძალიან ბევრია. ელიზბარ პატურაშვილი 30 წელია ჩვენს ქალაქში ცხოვრობს, რუსეთში მიმავალი, თვითმფრინავის ტრაპიდან მობრუნდა და ხაშურში სამუშაოდ ჩამოვიდა. ამის შემდეგ, მის ხელს და გონებას, ბევრი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენია. –"თიანეთში დავიბადე და გავიზარდე. ოჯახში ექიმი არავინ მყოლია, ჩემი არჩევანი იყო ექიმობა. 1984 წელს დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი და რუსეთში გავაგრძელე მუშაობა. 9 აპრილის შემდეგ, დიდი პროტესტი გამიჩნდა, ავდექი და წამოვედი. აქ ჩამოსულს, არაფერი დამხვდა, ბილეთი ავიღე, რომ უკან დავბრუნებულიყავი, მეგობარი შემხვდა, რომელმაც ხაშურში სამსახური შემომთავაზა, ასე მოვხვდი, თვითმფრინავის ტრაპიდან პირდაპირ ხაშურში და მას შემდეგ აქ დავიდე სამუშაო და საცხოვრებელი ბინა"-ასე იხსენებს კარიერის დასაწყისს და ხაშურში დამკვიდრების პერიოდს. ხაშურში მუშაობა ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მისთვის, როგორც ექიმისთვის. აქ განვითარებული ყოველდღიური მოვლენები, საშუალებას აძლევდა გამოეცადა თავი, როგორც ქირურგს, როგორც ადამიანს. 90-იან წლებში, როცა მოიშალა სახელმწიფოებრიობა, ინსტიტუტები, ქვეყანამ გამოიარა შიდა და გარე დაპირისპირებები, ფაქტობრივად, შიშველი ხელით და პროფესიული გამოცდილებით იბრძოდა სიცოცხლის გადასარჩენად. ამიტომაც იცნობს, ამიტომაც უყვარს, ამიტომაცაა ეს ქალაქი ელიზბარ პატურაშვილის მადლობელი. ექიმობა ყველაზე ჰუმანური პროფესიაა, უნდა გიყვარდეს ადამიანები, მათი დახმარება რომ შეძლო. არც ერთ დროს, არც რთულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას არ გაქცევია, არ გარიდებია, ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს, მოსახლეობას. როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი საქმე, როგორი ერთგული უნდა იყოს, ყოველგვარი სამედიცინო პირობების, ანაზღაურების გარეშე დარჩეს სიკვდილის პირისპირ და სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოლოს, ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ, ასეთ ადამიანებს ცოტას იცნობს ჩვენი ქალაქის ისტორია-იშვიათად მოიძებნება ვინმე, რომელსაც რაიმე ტიპის დახმარება, პროფესიული სიკეთე არ ახსოვს მისგან, ხელებს არ ულოცავდეს და პროფესინალიზმს არ უქებდეს, ეს დღემდე დიდი სტიმულია მისთვის. ამ ქალაქის მადლობელია, თავი უცხოდ არასდროს უგრძვნია, სწორედ ამ და სხვა ბევრი მიზეზის გამო აირჩია და შეიყვარა ეს ქალაქი, ამ ქალაქთან ერთად გამოაიარა ბევრი სირთულე. ახსოვს, სამედიცინო ხელსაწყოების სიმცირის, მედიკამენტების არარსებობის გამო, სანთლის შუქზე, საკუთარი პროფესიონალიზმის და ღმერთის იმედად, როგორ ებრძოდა ათეულობით ადამიანის სიცოცხლეს, რომელიც ყოველთვის მისი გამარჯვებით სრულდებოდა-ერთი პაციენტი მახსოვს, სკამზე დაბმული ახალგაზრდა ბიჭი დაჩეხეს, მრავლობითი, სიცოცხლესთან შეუთავსებელი ჭრილობებით შემოიყვანეს. ეს ყველაზე რთულ პერიოდში იყო, ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ საკუთარ თავთან და უფალთან ვყოფილიყავი მართალი. ამ დროს არ გაქვს დაღლის უფლება, შეცდომის დაშვების უფლება. დღემდე მსიამოვნებს იმის გაფიქრება, რომ ამ პაციენტის გადარჩენა შევძელი-ასე იხსენებს ყველაზე რთულ შემთხვევას, თუმცა თავის მოწონება, ყველაზე ნაკლებად ახასიათებს-ქუჩაში რომ მივდივარ და ვიღაც ხელს მართმევს, მადლობას მეუბნება იმ გაწეული დახმარებისთვის, რომელიც შეიძლება აღარც კი მახსოვს, ვერ გეტყვით, ეს ჩემთვის რამხელა ბედნიერებაა, რამხელა სიხარულს ვგრძნობ, რომ არ დაიკარგა ის შრომა და მონდომება, რომელიც მე გავწიე-და ასეთი შემთხვევები ყოველდღიურია მის ცხოვრებაში, ასეთმა ფაქტებმაც დაამაგრა იგი ჩვენს ქალაქში. საქართველოში დარჩენასაც ამართლებს, არ ნანობს, რომ მაშინ, რუსეთში მიმავალმა, აქ დარჩენა გადაწყვიტა, უარი თქვა იმ განვითარებაზე, უკეთეს პროფესიულ მომავალზე, მატერიალურ სიკეთეზე, რომელსაც რუსეთი მაშინ პირდებოდა. ვერც საკუთარი სოფლის დატოვება შეძლო, სადაც ყველაზე მეტ მშობლიურ სიახლოვეს გრძნობს, სადაც, როგორც ადამიანი, ისე ჩამოყალიბდა.

რატომ აირჩია ზოგადი ქირურგია, ეს შემდეგ, წლების მერე, როგორც პრაქტიკოსმა ექიმმა, მაშინ გაიგო. ეს მისთვის მუდმივი ბრძოლაა, ყოველდღიური, რადგან ძირითადად გადაუდებელი შემთხვევების პირისპირ აღმოჩნდება ხოლმე, რაც მეტ პროფესიონალიზმს, მეტ თავგანწირვას მოითხოვს მისგან. არც 2008 წლის ომის დროს წასულა არსად, შიდა ქართლის მასშტაბით, მხოლოდ ხაშურის საავადმყოფო ემსახურებოდა დაჭრილ სამხედროებს, არავის, არც მედ.პერსონალს, არც ექიმებს არ დაუტოვებიათ საკუთარი საქმე, არავინ დამალულა და გაქცევია პასუხისმგებლობას, ერთგულად იდგნენ ქვეყნის სამსახურში, ბევრი ჯარისკაცი დაუბრუნეს ქვეყანას და საკუთარ ოჯახებს.

ეს მისი ცხოვრების ყოველდღიურობაა, არც თვლის ახლა, რომ რამე განსაკუთრებულს აკეთებს, ყოველთვის იქაა, სადაც ჭირდებათ. ახლაც ფიქრობს, რომ მთავარი საქმეები კიდევ წინ აქვს, კიდევ ბევრ ადამიანს ჭირდება მისი დახმარება.. არც კი დაფიქრდებოდა, ისე დაადგებოდა ისევ ამ გზას, გზას, რომელიც დიდ შრომასთან, პასუხისმგებლობებთან, მუდმივ ბრძოლასთან, იმედებთან, მოლოდინებთანაა დაკავშირებული.

...და ჩვენც, რიგითი ხაშურელები, თავს ვხრით ამ ოქროსხელება, სიკვდილთან მებრძოლი კაცის წინაშე და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: მადლობა შენ, ელიზბარ ექიმო!..

თ. ჯავახიშვილი

ხაშურში, მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია განხორციელდება

ხაშურის მუნიციპალიტეტში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია ხორციელდება. ამ ეტაპზე ბორჯომის ქუჩაზე №58 და შუშის ქარხნის დასახლებაში №4 ბინის სახურავების რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტებს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს, ბორჯომის ქუჩაზე ბინის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები 63 104 ლარს შეადგენს, ხოლო შუშის ქარხნის დასახლებაში მრავალბინიანი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია- 68 085 ლარს.

ხაშურში, ბორჯომის ქუჩაზე, ტურისტული ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს

19 თებერვალს სამუშაოები ადგილზე მოინახულეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, ეკონომიკის სამსახურის უფროსმა სერგო ლალიაშვილმა და ინფრასტრუქტურის განყოფილების ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა.

მათი განმარტებით, ცენტრის მშენებლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 69 356 ლარს შეადგენს.



ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“, 2020 წ.#2,3,4,5,6)

ამასობაში, თბილისში, ნადირ-შაჰის დავალებით, ადირბეჯანის სარდალი ფათალი-ხანიც მოვიდა, რომელსაც ასევე ამილახორის შემორიგება ჰქონდა დავალებული, „გავიდა ქალაქიდამ ფათალი-ხანი, სარდალი ადირბეჟანისა, გივს ამილახორზე, მივიდა, ჩამოხდა მეტეხს, იქიდამ დაუწყო ლაპარაკი და მოციქულობა გივს: „ნუ გეფიქრება ხელმწიფესაო, რაც შენი საწადელი არის, მე აგითავებო“.

გივი ამილახორმა მოფიქრებისათვის სამი დღე ითხოვა, თან ფათალი-ხანს შემოუთვალა: ლეკის ჯარი დაღესტანში მიდის დიდი ალაფით, „მაგათ დახვდით, ნაშოვარიც მრავალი დაგრჩებათო და მეც თქვენს სამსახურში მოვალო“.

ფათალი-ხანს ეამა გივის შემონათვალი, მისი „მოსვლაც დაიჯერა“ და გაემართა ლეკების წინააღმდეგ. ყიზილბაშები ლეკებს კახეთში დაეწიენ. პირველი შებრძოლების დროს ყიზილბაშებმა სძლიეს ლეკებს: „პირველ მისვლაზე გაემარჯვათ ყიზილბაშთ და რაც მიჰქონდათ, სულ დააყრევინეს და ლეკებიც ბევრი დახოცეს“. მაგრამ ლეკებს თურმე „სხვა ჯარი ჰყვანდათ დამალული, წამოეშალნენ, გამოერიენენ შიგა გამოაქციეს ყიზილბაშნი, ნაშოვარიც ისევ გააყრევინეს და თათარნიც ბევრი ამოწყვიტეს“.

ასე მოხერხებულად შეძლო გივი ამილახორმა მასზე მოსული საფრთხის თავიდან აცილება ლეკების ხელით.

დამარცხებული ფათალი-ხანი ნადირ-შაჰმა უკან გაიწვია და ქერიმ-ხანს დაავალა ამილახორის წინააღმდეგ ბრძოლა. ამავე დროს, ნადირ-შაჰმა ქართლის ხანად იმამ-ყული-ხანი დანიშნა. იგი ქართლში მისვლისთანავე შემოეყარა ქერიმ-ხანს და გაერთიანებული ლაშქრით წავიდნენ ამილახორის წინააღმდეგ საბრძოლველად. „რა შეიტყო ჯარის მოსვლა ამილახორმა, დაცალა ციხეები და დააყენა სალდათი მეთოფე, თვითონ თავისი ჯარით სხვილოს ზეით მთაში დადგა. გაეკიდნენ ყიზილბაშნი და შეიქმნა ომი. გაემარჯვა ამილახორს, ჩამოვიდნენ ყიზილბაშნი, შემოადგნენ სამთავისს და აიღეს, ჭალის ციხე დაუცალეს გაპარვით, მერე მივიდნენ და შემოადგნენ სხვილოს ციხესა, მოიტანეს საფრები, ქვეით გალავანი თვითონ დაუცალეს, დარჩათ ყიზილბაშთა. იყო ბრძოლა ყოველ დღე შიგნით მეციხოვნეთაგან და აქეთ ყიზილბაშთაგან“ . ამასობაში ნადირ-შაჰმა იმამ-ყული-ხანი ქართლიდან გაიწვია, იგი ბრძოლის ველიდან პირდაპირ თბილისში ჩავიდა, ხოლო ქერიმ-ხანი გორში წამოვიდა.

ამილახორმა გაიგო თუ არა ქერიმ-ხანის გორში მოსვლა, მაშინვე გაუგზავნა თავისი აზნაურიშვილები და შერიგების სურვილი გამოთქვა. ქერიმ-ხანი კმაყოფილი დარჩა ამილახორის განზრახვით და გახარებულმა წიგნიც მიწერა: „თუ ჩამოხვედი, ყოველი შენი საქმე მე თავს მიდვიაო“.

ნადირ-შაჰმა ქართლის ხანად ყოჯა-ხანი დანიშნა. გივი ამილახორმა ახლა ყოჯა-ხანს ქართლში მოსვლისთანავე აახლა „თავისი მისანდო კაცნი“ და „დაპირდა სამსახურსა ხელმწიფისასა“. ყოჯა-ხანმა კი, თავის მხრივ ქართლის კათალიკოსი ნიკოლოზი გააგზავნა გივი ამილახორთან მოსალაპარაკებლად: „თუ ჩამოხვიდე, არაფერი შენი საზიანო არა გვინდოდეს რაო“.

გივი ამილახორმაც ყოჯა-ხანს შემოუთვალა: შაჰმა „ჩემი შეძლებით მიმსახუროსო და სანამდის ხელმწიფის ამბავი მოვიდოდეს, მძევლებს მოგცემო“ და საამილახოროს, ქსნისა და არაგვის საერისთაოების აზნაურიშვილები გაუგზავნა.

ნადირ-შაჰმა გივი ამილახორისაგან მძევლების გამოგზავნის ამბავი რომ გაიგო, იუკადრისა და ყოჯა-ხანს შემოუთვალა: „ამდენი ქვეყანა ჩემს საბრძანებლოში არისო, ვის გამოვართვი მძევალი, რომ ეგ მძევლით ვიმსახურო, თუ ჩემის ბრძანების მორჩილი არისო, ჩამოვიდეს და ბრძანებისაებრ ჩემისა მემსახუროსო და თუ არ ქნას ყოვლის წახდენით წაახდინეთო“.

ნადირ-შაჰის ბრძანების მოსვლისთანავე ყოჯა-ხანმა მძევლები გაათავისუფლა და საბრძოლო მოქმედებები განაახლა ამილახორის წინააღმდეგ. ახლა არა მარტო ყოჯა-ხანი, არამედ მასთან ერთად ერევნისა და დონბალის ხანებიც გაერთიანებული ჯარებით ებრძვიან აჯანყებულებს, არბევენ და ანადგურებენ ამილახორის მომხრე ზემო ქართლის მხარეს. „...შეჯდა ხანი ქართლისა, ხანი ერევნისა და ხანი დონბალისა დიდის ჯარით და წავიდნენ, აბელადეს ფალავანდიშვილი იორამ, დაესხნენ სამაჩაბლოსა, მრავალი სული დაატყვევეს, ააოხრეს ის ქვეყანა, იმათაც ომი აკიდეს, ყიზილბაშნი ბევრნი დახოცეს, ჩამოიტანეს ნაშოვარნი, შეასხეს ჯარი მთლივ და ათარეშეს ზემო ქართლის ქვეყანა. საფალავანდისშვილო და ის ძირობა სულ გააოხრეს, მიუხდნენ სურამის ციხეს, გარეთ სულ წაახდინეს, ჩამოვიდა ეს ჯარი დიდის ნაშოვრით და დადგა გომს“.

გივი ამილახორიც, თავის მხრივ, პერიოდულად აწყობდა თავდასხმებს ყიზილბაშების მომხრე ქართლის თავადებზე ლეკების მეშვეობით. განსაკუთრებით ეს ითქმის საბარათიანოზე. „წამოვიდა ჯარი ლეკისა, რაც ამილახორთან იყო მალიჩა ბელადი და ორი სხვა თავკაცი დიდის ჯარით... ხეობაში ახალდაბის ხიდზე გამოვიდნენ, დაესხნენ ბოლნისებს და მრავალი ტყვე და საქონელი წაიღეს... ამ ლეკის ჯარისაგან ზოგნი მოვიდნენ და დმანის ქვეითი ააოხრეს, აღარსად გაუშვეს შენობა თვინიერ ციხეებისა, წავიდნენ, ისევ იმავ ხიდს გადავიდნენ და გაიტანეს ნაშოვარი სურამს“. ქართლის გამგებელი ალი-ხანი, რომელიც ყოჯა-ხანის შემდეგ გამოაგზავნა ნადირ-შაჰმა, ატენის ბოლოს დადგა ჯარით, აქვე გამართა სანგრები და ალექსანდრე, დავით და ოთარ ციციშვილები დააპატიმრა ამილახორთან მათი ურთიერთობის ეჭვიანობის ნიადაგზე. ეს იწყინეს საციციანოს და „მისცეს მართლაც ციხეები ამილახორს აბუხალ და მძოვრეთისა, შეაყენეს კაცნი ამილახორისანი“. თავად ამილახორი სურამის ციხეში დადგა. „დადგა თითონ ამილახორი სურამის ციხეში და მოუმატა გალავანი და ეცადა სიმაგრესა,“-აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

როგორც ჩანს, ამ ფაქტმა თავისი გამოძახილი ჰპოვა ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშიც. კერძოდ, გივი ამოლახორის მიერ სურამის ციხის გამაგრებასა და გალავანის მომატების ფაქტზე უნდა მიგვანიშნებდეს ეს ლექსი:

„ეს გივი ამილახორი
მტრისაგან შეგვეშალაო,
სამკვიდროები დააგდო-
სამთავისი და ჭალაო.
სურამის ციხე ააგო,
ცათამდინ აიყვანაო.
შიგ წისქვილი დააბრუნა,
წყალი შიგ შეიყვანაო.
ხუშურ-ხუშური მეთოფე
ანაბრად გამოთვალაო“.

ამავე ფაქტს უნდა გადმოგვცემდეს კიდევ ერთი ლექსი:

„ამილახვარსა გივსაო,
ციხე უდგია ქვისაო,
შავა და შიგ მოისვენებს,
არ ეშინიან მტრისაო“.

გივი ამილახორმა ამავე დროს სხვა დამატებითი ღონისძიებებიც გაატარა თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად. „გაეგზავნა ამილახორს დაღისტანში კაცი, დაებარებინა ჯარი, მოუვიდა ქვეითი ლეკი სურამს, სხვა რაც აქ ყვანდა, ეს ერთად შეყარა“. აქვე სურამში იმყოფებოდნენ ზემო ქართლის თავადებიც: „ზემო ქართლის თავადნი, სულ იქ ახლდნენ“, - აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი.

გივი ამილახორმა ახლა უფრო მეტად გაახშირა ყიზილბაშების მომხრე ქვემო ქართლის რბევა ლეკების მეშვეობით. ამას, როგორც ჩანს, იმდენად სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ შეწუხებული პაპუნა ორბელიანი აღნიშნავს: „არასდროს ზემო ქართლის კაცისაგან ასე საბარათაშვილოს მტრობა არ გაგონილიყო, რომ ახლა იჩემეს და აშკარად ლაშქრობდნენ“.

არც ყიზილბაშები ჩამორჩებოდნენ ლეკებს ქართლის რბევაში, ისინიც ხშირად აწყობდნენ თავდასხმებს ზემო ქართლზე, განსაკუთრებით კი სურამის მხარე იყო ამ მხრივ ძალზე შეწუხებული. „...წავიდნენ (ყიზილბაშები-თ.ლ.) მიუხდნენ სურამს, გარშემო სულ დაუწვეს და ის ხეობა წაახდინეს,“ -აღნიშნავს პაპუნა ორბელიანი ყიზილბაშების სურამის მხარეში ერთი რიგითი ლაშქრობის შესახებ.

ცალკე ლეკებისა და ცალკე ყიზილბაშების გაუთავებელი თარეში, ისედაც გაჩანაგებულ ქვეყანას კიდევ უფრო აჩანაგებდა და უარყოფით გავლენას ახდენდა აჯანყების მიმდინარეობაზეც. ამიტომ, შეწუხებული მოსახლეობა თანდათან თეიმურაზის, რომელიც უკვე აქტიურად მოქმედებდა გივი ამილახორის წინააღმდეგ, სამსახურში დგებოდა. არაგვის საერისთავოს მოსახლეობა ერთსულოვნად უცხადებდა თეიმურაზს მორჩილებას: „თქვენს მეტი ბატონი არ გვინდაო“. ნადირ შაჰიც აქებდა თეიმურაზს და თან პირდებოდა: „თუცა ქსნის ხევსაც დაიჭერო, ორსავ საერისთო შენთვის მოგვიცემიაო“.

ქსნის ხეობელებიც გამოთქვამდნენ თეიმურაზისადმი მორჩილების სურვილს და მას უთვლიდნენ: „ამდენი ლეკი შინ გვიდგასო, ეს აქედამ გაგვაცალეო და თქვენს სამსახურში მოვალთო“.

1743 წელს, გივი ამილახორი რუსეთში მყოფ ბარძიმ და ლუარსაბ ამილახორი - შვილებისათვის გაგზავნილ წერილში ზემო ქართლში და მეჯვრისხევში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით წერდა: „...ჩვენ დიდ მარხვაში ზემო ქართლს წავედით, ლაზარობა დღეს სურამს მოვედით, თიბათვისა ოცდახუთი ვიყავით. ამიტომ ზემო ქართლში ჯარის ფიქრი იყო. ყიზილბაშს იქით არა წაეხდინა რა. ზოგიერთი კაცი ტყვეში ერეოდა. იმისი პირობა და ფიცი გამოვართვი. აღარავინ გარეულა ტყვის გასყიდვაში. ციხეებიცა გვქონდა საკეთებელი: სურამი და ახალდაბა. ახალციხის გზაც გავარიგეთ. ვისაც სავაჭრო უნდოდა ქართველს კაცსა, ყველა ახალციხიდან მოდიოდა. ამ ჯაანისათვის ვიყავით ზეით. ოც თიბათვეს მეჯვრისხევს ჩავედით. გაგვცეს ქართველებმა. აჯიხან სარდალი, ალიხან ავღანი, რაც ყიზილბაშის ჯარი იყო დაგვიმალეს. წინა დილა რომ ინათა, მოვიდნენ ჩვენზედ. აძვის ვენახებთან ვიყავით ჩამომხდარი. ყარაულებმაც მოასწრეს, ჩვენმა და იმათმაც. შორიდან -„აჰალახ, აჰალახ!-დაიძახეს, მანამდე ჩვენც მზად დავხვდით და, ღვთის მადლით, ადრე გავაბრუნეთ. მერმე აჯიხან კიდევ ცალკე დამალულიყო. ჩვენზედ მოვიდა უმეცრად. შვიდ საათს ომი იყო. ღმერთმან ხელი მოგვიმართა. ბევრი კაცი და ცხენი დავუმარცხეთ. გაბრუნდა. ის შორს წავიდა. ჩვენ წამოვედით. ცხვილოს მოვედით“.

თეიმურაზმა, მართლაც, თითქმის უბრძოლველად დაიკავა არაგვის საერისთავო, მაგრამ ქსნის ხეობის დამორჩილება ძალის გამოყენებით შეძლო მხოლოდ. გივი ამოლახორი იძულებული გახდა, ქსნის ხეობიდან გამოეყვანა თავისი მეუღლე და სხვილოს ციხეში მიეყვანა. თეიმურაზი პირველი გამარჯვების კვალობაზე შეეცადა ამილახორის მიერ გამაგრებული ციხეების დამორჩილებასაც, მაგრამ ამ ეტაპზე ვერ შეძლო, რადგან, როგორც ჩანს, იგი სათანადოდ არ იყო მომზადებული. „ამილახორს ჰქონდა გამაგრებული სხვილოს ციხე, ორი ჭალა, სურამი, კეხვი, ქ. ცხინვალი და საქართლის ციხე ქსანზე, კიდევ წირქორი,“ რომლებიც „უთოფხანოდ ვერ დაიმორჩილა კახმა ბატონმა“.

თეიმურაზმა ქართლის გამგებელს, ალი-ხანს „სთხოვა თოფ-ხანა“. ალი-ხანმა თეიმურაზის შვილს-ბატონიშვილ ერეკლეს მისცა საჭირო საბრძოლო მასალა და იარაღი. ერეკლემ „წამოიღო თოფ-ხანა ჯაბახანით და შეეყარა მამასა თვისსა“.

თეიმურაზისაგან შეავიწროვებულ გივი ამილახორს ოსმალეთი მოეშველა. 1743 წლის ზამთარში „გადმოვიდა ჯარი ურუმისა... ჩამოიარეს, ავალიშვილები უკუმდგარნი იყვენენ, გზა დაანებეს, მოვიდნენ სურამს, შეეყარნენ ამილახორს“.

ამ დროს, პაპუნა ორბელიანის გადმოცემით, ოსმალეთში გამოჩნდა სპარსეთის ტახტის პრეტენდენტი, ყაენის შვილი (შაჰ-ზადა), რომელსაც ხონთქარმა ჯარი მისცა და ყარსისკენ გამოისტუმრა. ტახტის პრეტენდენტმა ამილახორს ხალათი, ცხენი და ფული გამოუგზავნა, თან შემოთვალა: „ ვინც ჩვენ სამსახურზე ხმალს იქნევდეს, იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეთო“.

გივი ამილახორმა ასეთი დიდი მხარდაჭერისა და დახმარების მიღების შემდეგ გააააქტიურა მოქმედება თეიმურაზისა და ერეკლეს წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ, იგი მათთან ბრძოლაში დამარცხდა. პაპუნა ორბელიანი ასე გადმოგვცემს ამ ფაქტს: გივი ამილახორი ოსმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქრით თეიმურაზზე თავდასხმას აპირებდა, რაც მისთვის (თეიმურაზისთვის - თ.ლ.) ცნობილი გახდა. ამის საპასუხოდ ერეკლე ბატონიშვილი კახთა ჯარით აჩაბეთის ციხეს მიადგა. ციხე ნებით არ დამორჩილდა ერეკლეს. ამის შემდეგ კახნი „გარდაუცვივდნენ ციხეში“, აიღეს და „ იავარ-ჰყვეს საქონელი“. გივი ამილახორი ოსმალთა ჯარით მოადგა დასახმარებლად აჩაბეთის ციხეს და გარშემოეწყო. „გამოვიდნენ კახნი, დაუშინეს ერთმანეთს, რომ თოფის ხმისაგან ყურთა ხმა აღარ იყო. სძლიეს კახთა, გაიქცივეს ურუმნი, მიჰყვნენ კახნი უკან კაფით ქ. ცხინვალამდის, ამოსწყვიიტეს ურუმნი, გამობრუნდნენ კახნი გამარჯვებულნი, დატვირთულნი და ჩამოხდნენ ისევ თვისსა სამყოფსა“.

პაპუნა ორბელიანი აჩაბეთის ციხესთან გამართულ ბრძოლაში განსაკუთრებით მოხიბლულია ახალგაზრდა ერეკლე ბატონიშვილის მოქმედებით და მის შესახებ აღნიშნავს: „მას დღეს რომ გენახათ ბატონიშვილი ერეკლე, ამას ბრძანებდით: „თუცა ლომი ეგრე იბრძვისო“. ჰასაკით იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმოდა, ფალავანის შესადარისი იქნებოდა“.

დამარცხებული გივი ამილახორი, ოსმალთა ჯარის ნარჩენებთან ერთად, მცირე ხნით ცხინვალში გაჩერდა. შემდეგ აქ „დაცლევინეს ციხე, კაცნი აჰყარეს, თან წაასხა ამილახორმა, რაც შენობა იყო დაწვეს და წავიდნენ, მივიდნენ სურამს“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

80 - გურამ ყორანაშვილი - 80

დიდი მეცნიერი, ღირსეული მამულიშვილი

ჩვენს თანამემამულეს,ღირსეულ მამულიშვილს,პირუთვნელ ისტორიკოსს, ჩვენი მუზეუმის ერთგულ მეგობარს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

აღსანიშნავია მისი დიდი ღვაწლი ქართულ საისტორიო მეცნიერების განვითარების საქმეში. მის კალამს ეკუთვნის არაერთი პირველხარისხოვანი გამოკვლევა, რომელშიც ,თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ახლებურად არის გააზრებული საქართველოს ისტორიის მრავალი

საკვანძო საკითხი. იგი ერთნაირი ინტერესით იკვლევს,როგორც ისტორიის, ასევე ფილოსოფიის კარდინალურ პრობლემებს. მეცნიერებათა დოქტორმა, ერთ-ერთმა გაილაშქრა მარქსიზმ-ლენინიზმსა და საბჭოურ მეცნიერებაში დამკვიდრებული კაცობრიობის განვითარების თითქოსდა უნივერსალური ხუთსაფეხურიანი სქემის წინააღმდეგ. ამ თემატიკაზე მას დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე წიგნი ქართულ და რუსულ ენებზე.

გურამ ყორანაშვილი დაიბადა 1940 წლის 22 თებერვალს,ბორჯომში, მოსამსახურის ოჯახში. 1946 წელს შევიდა ბორჯომის პირველ სკოლაში, ხოლო შემდეგ წარმატებით დაამთავრა ქვიშხეთის საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. მან 1962 წელს წარადგინა სადიპლომო ნაშრომი,რომელშიც გაილაშქრა ძველი ისტორიის შესახებ არსებული საბჭოური დოგმების წინააღმდეგ, ეს იყო სტუდენტის ერთგვარი ამბოხი საბჭოურ ისტორიულ მეცნიერებაში გამეფებული დოგმების წინააღმდეგ. ასეთმა თამამმა გამოსვლამ,რომელიც მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი პროფესორ - მასწავლებლისათვის განაპირობა ის, რომ მას დაეტოვებინა ეს უნივერსიტეტი. 1964-65 წლებში, გურამ ყორანაშვილი სწავლობს მოსკოვში, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. 1965-66 წლებში მუშაობდა „საბჭოთა საისტორიო ენციკლოპედიაში“ უმცროს მეცნიერ- თანამშრომლად.

1968 წლის მაისიდან 2001 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ კი უფროს მეცნიერ-თანამშრომლად ძველი ისტორიის, ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის, ახალი ისტორიის განყოფილებებში. 1979 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიაში თემაზე: „საზოგადოებრივ – ეკონომიკური ფორმაციების პრობლემა ისტორიულ მატერიალიზმში.”

გურამ ყორანაშვილი ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.1985 წლიდან იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი, ისტორიის სექციის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე. 1989 – 1991 წლებში „საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის, ხოლო 1992 – 1994 წლებში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ დარბაზისა და გამგეობის წევრია. 1992 – 1995 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი. 1995 – 1996 წლებში მუშაობს კონსულტანტად საქართველოს პრეზიდენტის აპარატში.

გურამ ყორანაშვილი, სამეცნიერო – საზოგადოებრივი მოღვაწეობის პარალელურად, ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა. 1989 წლიდან პროფესორია. ასწავლიდა თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვაგან. კითხულობდა ლექციებს ისტორიის ფილოსოფიასა და საქართველოს ისტორიის ისტორიოგრაფიაში.

გურამ ყორანაშვილი არის მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი.

მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს ისტორიის, ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის პრობლემების კვლევა – ძიებას,რაც დღეისთვის წარმოადგენს ქართული ისტორიული და ფილოსოფიური მეცნიერების „აქილევსის ქუსლს“, რამეთუ საბჭოური იდეოლოგიის უარყოფის შემდგომ, ამ მხრივ, დიდი ვაკუუმია წარმოშობილი. მართალია, განვლილი ათწლეულების მანძილზე, ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდ წარმატებებს მიაღწია ახალი საისტორიო წყაროების მოძიების, ფაქტების დადგენისა და ცალკეული საკითხების მონოგრაფიული დამუშავების მხრივ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მარქსისტულ – ლენინური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში, ეს დარგი დიდ დაბრკოლებებს აწყდებოდა იმის გამო, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა არნახულ დოგმატიზმს და მნიშვნელოვანი სამეცნიერო საკითხები წყდებოდა უმთავრესად ავტორიტეტების მოხმობით.

გურამ ყორანაშვილი ცდილობს, შეავსოს აღნიშნული თეორიული ხარვეზი. იგი დიდ ყურადღებას აქცევს ისტორიის ფილოსოფიას, ზოგად სოციოლოგიას და მეთოდოლოგიას. ამას გარდა, მისი ინტერესების სფერო მოიცავს მსოფლიოს ისტორიას, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პრობლემებს. მკვლევარმა თავის ნაშრომებში შეძლო, ახლებურად გაეაზრებინა გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში, გადასინჯა და ორიგინალური იდეები წამოაყენა საქართველოს ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის საკითხზე გაზვიადებული წარმოდგენის წინააღმდეგ, აჩვენა ქართველი ერის წარმოშობა ფეოდალიზმის წიაღში, ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყება საქართველოში რუსეთის პირველი ანექსიისთანავე, ახლებურად წარმოაჩინა ილია ჭავჭავაძის მსოფლხედველობა, მეცნიერული და სოციალურ – პოლიტიკური ნააზრევი, სპეციალურ მონოგრაფიაში განიხილა ილიას მკვლელობის საქმე, ასევე ივანე ჯავახიშვილის თეორიული შეხედულებანი და ა.შ.

გურამ ყორანაშვილი ხელდამშვენებული შეხვდა თავის 80 წლის იუბილეს. მას გამოქვეყნებული აქვს 20 - ზე მეტი წიგნი და კრებული, მრავალი ათეული სამეცნიერო სტატია, მათ შორის 6 უცხოეთში (რუსეთში, ჰოლანდიასა და აშშ-ში), ასობით პუბლიცისტური სტატია და რეცენზია.

გურამ ყორანაშვილი ავტორია წიგნებისა: „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში“ (1975), „კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ“ (1976), „ეროვნული თვითშეგნება და ტრადიციები“ (1984), „ისტორიულ ფილოსოფიური ეტიუდები“(1,1985;II,1992), „პროფესია –ისტორიკოსი“ (1986), „Докариталистические общественно-экономические формации“(1988), „საქართველოს ისტორიის საკითხები“ (1,1994;II,1995), „ეროვნული საკითხი. ზოგადთეორიული და კონკრეტულ-ისტორიული ასპექტები“ (1997), „ივანე ჯავახიშვილი“ (ახლებურად წაკითხვის ცდა) (1998), „9 აპრილი: მითი და სინამდვილე“(2001), „საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები“ (2002), „წიწამურის ტრაგედიის საიდუმლო“(2004), „შტრიხები იოსებ სტალინის პორტრეტისათვის“ (2006), „ილიას ფენომენი“ (2007) და სხვა.

2010 წლის გაზაფხულზე თბილისისა და ხაშურის საზოგადოებას მეცნიერმა წარუდგინა ახალი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი –ახალი დიმიტრი თავდადებული“. წიგნი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათისაა, რომელშიც გადმოცემულია დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მრავალმხრივ განათლებული პიროვნების, რუსეთში 1887 წლის 25 ოქტომბერს ტრაგიკულად აღსრულებული დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნიშანსვეტები.

წიგნმა კიდევ ერთხელ გაახსენა მკითხველს ხაშურიდან პავლე ეგზარხოსისადმი დიმიტრი ყიფიანის მიერ გაგზავნილი წერილი: „თქვენო უსამდვდელოესობავ! ხმები მოგაწერენ, თითქოს სამწყოს წინაშე ბოდიშის მოხდას აპირებდეთ თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების ცოდვიანობის გამო. თუ ეს ყოველივე მართალია,მეუფეო,თქვენი თანამდებობრივი დირსების გადარჩენა ამასდა შეუძლია – შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილის ქვეყნიდან.”

გურამ ყორანაშვილის დამსახურებაა დიმიტრი ყიფიანის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოების დაარსება ხაშურში,დიდი მამულიშვილის ძეგლის ასაგებად ფონდის შექმნა, რომელშიც მან უკვე გადარიცხა ზემოთაღნიშნული მონოგრაფიის გავრცელებიდან მიღებული შემოსავალი. ეს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია ბატონ გურამის პიროვნების დასახასიათებლად. აღნიშნული თანხით შეიქმნა დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი, რომელიც დაიდგა ქვიშხეთში, დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში.

გურამ ყორანაშვილის საქმიანობა დიმიტრი ყიფიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში აღინიშნა დიმიტრი ყიფიანის პრემიით (2015), დიმიტრი ყიფიანის სამუზეუმო მედლით (2014).

მკვლევარი ამჟამად მუშაობს საქართველოს ისტორიის სამტომეულზე (უძველესი დროიდან 1801 წლამდე), რასაც დიდი ინტერესით ელოდებიან მისი მეგობრები.

ვულოცავთ ბატონ გურამს დაბადებიდან 80 წლისთავს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ჯამრთელობასა და წარმატებას სამეცნიერო საქმიანობაში.

მაყვალა ხაჩიძე, გივი გელაშვილი,
კლიმენტი სუთიაშვილი, თამაზ ლაცაბიძე, მურად მთვარელიძე

რედაქციის კოლექტივი, თავის მკითხველთან ერთად, უერთდება ამ მილოცვას და სულიერ სიმხნევეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებს დიდ მეცნიერს და ღირსეულ მამულიშვილს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.